



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	არწივები(ოზრ) - ღონე		
გუნდი	ჩოხატაურის „ღონე“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	28/10/2021	მატჩის ადგილი	ოზურგეთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	ჩოხატაურის „ღონე“-ს მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი გიორგაძე		
მომჩივანი	მატჩის მთავარი მსაჯი დავით ბალუაშვილი	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია მუხლი 5 - პუნქტი 5.5 სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 3	წითელი ბარათი	საითინგი სხვა
		•	•
		თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	03/11/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე		
დამრღვევის დასწრება	კი <input checked="" type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>	სხვა დამსწრეები :	კი <input checked="" type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	<ol style="list-style-type: none"> მატჩის მთავარი მსაჯის დავით ბალუაშვილის საითინგი. მატჩის ოქმი. 		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მთავარი მსაჯის დავით ბალუაშვილის საითინგი.
2. მატჩის მეთვალყურის მ. ზვიადაძის მატჩის ოქმი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

1. ჩოხატაურის „ღონე“-ს მწვრთნელმა გიორგი გიორგაძემ (სატელეფონო საუბრისას) განაცხადა, რომ არ ეთანხმება მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 28 ოქტომბერს ოზურგეთში გაიმართა საქართველოს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის ჩემპიონატის მატჩი ოზურგეთის „არწივები“-სა და ჩოხატაურის „ღონე“-ს შორის.
2. თამაშის მე-2 ნახევრის 22-ე წუთზე მატჩის მთავარმა მსაჯმა მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
3. 2021 წლის 29 ოქტომბერს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით (საითინგი) მომართა აღნიშნული მატჩის მთავარმა მსაჯმა დავით ბალუაშვილმა. საითინგში მსაჯი განმარტავს იმ გარემოებებს, რაც გახდა თამაშის შეწყვეტის საფუძველი, კერძოდ : თამაშის მე-2 ნახევრის 22-ე წუთზე სათამაშო მოედანზე შემოიჭრა ჩოხატაურის „ღონე“-ს გულშემატკივარი, რომელიც აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებებს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ დ. ბალუაშვილმა (მთავარი მსაჯი) მიიღო თამაშის გაგრძელების გადაწყვეტილება, რა დროსაც სათამაშო მოედანზე შემოიჭრა ჩოხატაურის „ღონე“-ს მწვრთნელი გიორგი გიორგაძე, რომელიც აპელირებდა მის გადაწყვეტილებებზე და მიუხედავად მსაჯის მხრიდან არაერთგზის მოთხოვნისა დაეტოვებინა სათამაშო მოედანი, გიორგი გიორგაძე არ ტოვებდა სათამაშო მოედანს და განაგრძობდა აგრესიულ კამათს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მატჩის მთავარმა მსაჯმა დ. ბალუაშვილმა მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
4. 2021 წლის 1 ნოემბერს სადისციპლინო კომისიის წევრები ტელეფონით დაუკავშირდნენ ჩოხატაურის „ღონე“-ს მწვრთნელს გიორგი გიორგაძეს და მოისმინეს მისი განმარტება მატჩზე მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომელიც გახდა თამაშის შეწყვეტის მიზეზი. გ. გიორგაძემ დაადასტურა სათამაშო მოედანზე მისი გუნდის გულშემატკივრის შეჭრა და



წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის შესახებ, თუმცა არ დაეთანხმა მატჩის მთავარი მსაჯის მიერ თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

5. მატჩის მეთვალყურის მ.ზვიადაძის ოქმის მიხედვით, თამაშის მე-2 ნახევრის 22 წუთზე სათამაშო მოედანზე შეიჭრა ჩოხატაურის „ლონე“-ს გულშემატკივრი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ, სათამაშო მოედანზე ამჯერად შეიჭრა ჩოხატაურის „ლონე“-ს მწვრთნელი გიორგი გიორგაძე, რომელიც აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე. მსაჯის მხრიდან, სათამაშო მოედანის დატოვების, მოთხოვნის მიუხედავად გ. გიორგაძე განაგრძობდა აპელირებას, რის გამოც მატჩის მეთვალყურემ და მატჩის მთავარმა მსაჯმა ერთობლივად მიიღეს თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.5 პუნქტით, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი # 3-ს მიხედვით და მიიღო გადაწყვეტილება :

1. გაბათილდეს თამაშის შეწყვეტის დროს არსებული ანგარიში, ჩოხატაურის „ლონე“-ს ჩაეთვალოს წაგება, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს, ოზურგეთის „არწივებს“, მიენიჭოს შეჯიბრებაში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულების რაოდენობა (5 ქულა) და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. ჩოხატაურის „ლონე“-ს მწვრთნელი გიორგი გიორგაძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით.
 - სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ პიროვნებას ეკრძალება რაიმე დონეზე თამაშში მონაწილეობა.



სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	4 (ოთხი) კვირა	წითელი ზარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	04/11/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	XII ტური (ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მიმდინარე განრიგის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	გაფრთხილება. მწვრთნელის სადისციპლინო ისტორიაში დაფიქსირდეს შესაბამისი ჩანაწერი.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა	არა	
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	არა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	03/11/2021
--------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.